საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბამბეულის წარმოება

ბამბეულის წარმოება, დამამუშავებელი მრეწველობის (ტექსტილის) დარგი, ამზადებს ბამბის ნართს, ძაფს, ქსოვილებს, სხვადასხვა დანიშნულების ბამბას და სხვ. აქვს სართავი, საგრეხ-საძაფე, საქსოვი და სამღებრო-გამომყვანი საწარმოები. ბამბას აწარმოებდნენ და მისგან ნართსა და ქსოვილებს ხელით ამზადებდნენ ძვ. ჩინეთსა და ინდოეთში. ბამბის მანქანური წარმოება პირველად ინგლისში დაიწყეს XVIII ს. II ნახ-იდან, რუსეთში – XVIII ს. დამლევიდან, საქართველოში კი – XIX ს-იდან.

1870 თბილისში გაიხსნა ბამბის ძაფსართავი და საქსოვი ფ-კა. იგი დაკომპლექტებული იყო უცხ. მოწყობილობებით. საქართველოში ბ. წ. განვითარდა XX ს. 20-იან წლებში. უკვე 1932 დამზადებული იყო 150 ტ-ზე მეტი ბამბის ნართი – 3,2-ჯერ მეტი, ვიდრე 1912. 1940 მოქმედებდა 3 დიდი და 29 წვრილი საწარმო. რესპ. ბ. წ-ის უმნიშვნელოვანესი საწარმოები იყო: გორის ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო და ქუთ. ბამბის საქსოვ-საწარმოო გაერთიანებების, ქობულეთის საქსოვი, თბილ., სამტრედიისა და საჩხერის ბამბის სართავი ფ-კები და სხვ. მათგან ყველაზე დიდი იყო გორის ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანება (1951), რ-იც წელიწადში ამზადებდა 60 მლნ. მ-ზე მეტ ბამბეულის სხვადასხვა სახეობის ქსოვილს.

საქართვ. ბ. წ-ს არა აქვს საკუთარი სანედლეულო ბაზა. ბამბის ბოჭკო შუა აზიისა და აზერბ. რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ. 1990-იან წლებში ბ. წ. ჯერ შემცირდა და შემდეგ კი საერთოდ შეწყდა.

პ. გარუჩავა